№ 72
ხუთშაბათი, 17 აპრილი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 72
ათი, 17 აპრილი 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲘᲠᲡ:

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია:
კოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ზეთის ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზე—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ქართული თეატრი
პარასკევს, 18 აპრილს,
ქართულის თეატრის არტისტებისაგან
ქ-ნ ავალიშვილისა და ვ. აბაშიძის
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ახალი პიესა
I
ახალის დროების გმირი
კომედია 2 მოქმედ.
II
**ᲛᲝᲢᲘᲐ**
ვოდევილი 1 მოქმედ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, ადამიძე, კარბელი და სხვ.
დასასრულ
დივერტისმენტი
სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ამირაჯიბისა, თ. გრიგ. აბაშიძე და ბ. ცხომელიძე.
დასაწყისი 8½ საათზედ.

ახლად შემდგარი
**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲝ**
(ისტორიულის ქუდაჯებით)
ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით გაჰმართავს
**ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲡ**
ქ. **ᲒᲝᲠᲨᲘ**—ოთხშაბათს, 16 აპრილს (სამოქალაქო კლუბში.)
დ. **ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ**—ხუთშაბათს, 17 აპრილს (ნორმალურს სასწავლებელში).
ქ. **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ**—პარასკევს, 18 აპრილს (ქალაქის თეატრში).
**ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ**—შაბათს, 19 აპრილს.
დასაწყისი 8½ საათზედ.
ხოროს გამგე ი. მჭედლიშვილი.
(2—უ—1)

ტფილისი, 16 აპრილი.

ჩვენ მოგვივიდა თითო-ოროლა წერილი ლანძღვისა და გინებისა იმის გამო, რომ ქართველ-სომხის საქმეზე ჩვენი აზრი გამოვთქვით. სიტყვა-პასუხი ამ წერილებისა ისეთი უშვერი და უწმაწურია, რომ დაბახანა დაგვავიწყდებაო. ეს უწმაწურობა ცხადად გვანიშნებს, საიდამ მოჰქრის ეს საზიზღარი ქარი და ვისი უნარია. ეს ორიოდე წერილი, რა თქმა უნდა, ხელ-მოუწერელია და უსახელო. თითქო თითონვე დამწერთ უგრძვნიათ მთელი ურცხვობა თავისის სიტყვა-პასუხისა და სირცხვილით თავი ვერ გამოუჩენიათ, სახელისა და გვარის გამომჟღავნება უთაკილნიათ. ესეც დიდი საქმეა დაბახანის აკადემიაში გაზდილთათვის. სჩანს, გრძნობა სირცხვილისა ცოტაოდნად მაინც კიდევ შერჩენიათ და ყელთამდე არ ჩაფლულან იმ ლაფში, საიდამაც იწევენ და ვერ ამოსულან.

ხოლო არ ვიცით რა ვთქვათ იმისთანა კაცზე, რომელსაც ეს მცირეოდენი თავაზაც არა ჰქონია თავისის თავისა და პირდაპირ საქვეყნოდ ლანძღვა-თრევით აპირობს მოედნიდამ ბურთის გატანას და ამასთან თავისს სახელს არა ჰმალავს. მართალია, სახელის არ მალვა ამ შემთხვევაში ვაჟკაცობასაც მიეწერება, მაგრამ ვაჟკაცობას ურცხვობისას, უწმაწურობისას, სიტყვა-მრუშობისას. ისევ სირცხვილეული ლაჩრობა სჯობია ამისთანა ვაჟკაცობასა.

ამ უსახელო წერილთა შორის, რომლის ავტორებს თავისი საქციელი თვითვე შერცხვენიათ და ამიტომ სახელები დაუმალავთ, მარტო ერთი წერილია სახელ-მოწერილი და ამასთან „კვალში“ დაბეჭდილი, თუმცა სხვა უსახელო წერილებზე არა ნაკლებ სამარცხვინოა ყოველ ავტორისათვის, ვისაც-კი გემო მართებულობისა და ზრდილობისა დაკარგული არა აქვს. ეს წერილი გახლავთ ბ-ნ გ. წერეთლისა, ზნე-მაღალ „კვალის“ ბაირაღტარისა. ყოველი მზგავსი მზგავსა ჰშობსო, ნათქვამია. მიგვილოცნია ბ-ნ გ. წერეთლისათვის, რომ შემდეგ ამდენის ტოკვისა, აქედ იქით ტრიალისა და ოთხზე ცოცვისა ძლივს მიაგნო სამშვიდობო ნავთსადგურს დაბახანაში და იქ დააბა თვისი წაჯექ-უკუჯექობის ნავ-ხომალდი. ყოველი მზგავსი მზგავსისაკენ მიიზიდება და საკვირველი არ არის, რომ ბ-ნი გ. წერეთელი ზურგის ქარმა აქ მიიტანა და თავისის ჯურის და გუნების თანა-მოღვაწენი აქ აპოვნინა, რაკი სხვაგან და სხვებთან საძუე შემოაწყდა. ეხლა, უეჭველია, ეს მესამე დასის შემქნელი ჯანბაზი მეოთხე დასს შეადგენს და ახალ „კულტურის“ დროშას წინ გაუძღვება ჩვენდა სასახელოდ. დიდი ხანი არ გაივლის, რომ დოინჯსაც შემოიყრის, ქუდსაც ჩაიკეცავს, ჩითმერდინსაც ყელზე დოშლუღად გადიგდებს და დაფა-ზურნით შუა ბაზარში ჩაივლის. ღმერთმანი, ცოტანი მისძახებენ სიხარულით: „აღა ბაღში მიბრძანდება, მიხედ-მოხედვის ჭირიმე!“, მითამ არ მოუხდება თუ.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბ-ნი გ. წერეთელი შიგ ჩარევია სახელიანად ხსენებულ უსახელო ავტორებს. ერთი დიდი ღირსება ბ-ნ წერეთლისა ის არის, რომ თავისს დღეში არ უღალატნია თავისის ზნე-ჩვეულებისათვის: ვისიც ერდო მაღალია, ის იმისი მაყარია. ეხლანდელ დროში, როცა „ჰუმანობა“ და ერთობ კაცური-კაცობა სულელობაა, ამისთანაების ალღოს აღება დიდი უნარია მეძებარისათვის და რა კურდღელს დაიჭერს, ამას ხომ დრო გამოაჩენს.

ჩვენ ყოველს ამას თავს არ გავუყადრებდით და ყურსაც არ ვათხოვებდით არც უსახელო ავტორებს და არც სახელოვანს ბაირაღტარს „კვალისას“, რომ ძმობისა და სიყვარულის სახელით ეს ჩვენი ბრძენთაბრძენი ბ-ნი წერეთელი არ გამოდიოდეს მოედანზე. ჩვენც ვიცით, რომ ძმობა სჯობია მტრობასა, სიყვარული სიძულილსა. ბ-ნ გ. წერეთელს ეს ჩვენზე უკედ სცოდნია, ხოლო ერთი რამ გამოჰპარვია გონებიდამ, სახელდობრ ისა, რომ ძმობა, სიყვარული, როგორც ყოველივე სხვა მადლი, სესხი და ვალიც არის ერთსა და იმავე დროს. თუ შენი ძმობა მე მმართებს, ჩემიც უნდა შენ გემართოს, თორემ ძმობა და სიყვარული მარტო ჩემი ვალი იყოს და შენი-კი—სესხი, ეგ სადაური სამართალი იქნება.

სწორედ ამისთანა სამართალით მოგვგდომია ჩვენი ბ-ნი გ. წერეთელი ჩვენ ქართველებს და ლამის რისხვამან მისმან გაგვიტანოს ჩვენ და ამ ტყუილ რისხვის ბუკმა და ნაღარამ ლამის ყური გამოგვიყრუოს. ისე გამოდის ბ-ნ გ. წერეთლის სიტყვით, რომ ძმად-ყოფნა მარტო ჩვენი ვალია და სხვისა სესხი. მართალია, ქართველისათვის ვალი ახალი ამბავი არ არის, შეჩვეული ჭირია და არც სომხისათვის სესხია ახალი ამბავი და შეჩვეული ლხინია, მაგრამ ჭირი შენ და ლხინი მეო—ეს ხომ შორს არის ძმობაზე. თუ ძმობა გინდა, შენცა ჰზიდე ტვირთი ძმობისა ჩემდა საკეთილოდ და მარტო მე ნუ მკიდებ შენდა სასარგებლოდ. გვეტყვიან, ეგ რაღა ქრისტიანობაა სამაგიეროს თხოულობო. სამაგიეროს კი არ ვთხოულობთ, გვინდა, რომ შენც ქრისტიანე იყო, რაკი ქრისტიანობა ძმობაა და ურთიერთის სიყვარული.

იქნება ბ-ნი გ. წერეთელი, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანე, გვასწავლის, ერთს ყბაში რომ ლაწანი გაგაყრევინონ, მეორეც მიუშვირეო. მაგრამ აქედამ ის სულაც არ გამოდის, რომ ქვეყანაზე ერთი სცემდეს ძმურად და მეორე ყბებს უშვერდეს ყმურად, ანუ ვინც დაასწროს, სილა გაუშალოს და ვინც არა, ყბა მიუშვიროს ძმობითა და სიყვარულით. ნურავის ნუ ავიწყდება, რომ ქრისტე-ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხნევებდა ცემულს. აი ნამდვილი ქრისტიანული ძმობა და სიყვარული ადამიანისა სად არის! ყველა რომ ისე მშვიდი იყოს გულითა და მზად იყოს ყბის მისაშვერად, მცემელიც აღარ იქნება. აი ღრმა აზრი იგავად თქმულ მოძღვრებისა რაშია! მშვიდ იყავით გულითა ყოველნიო, აი რას გვასწავლის ქრისტე და არა იმას, რომ ორად გაიყოს ქვეყანა, ერთნი სცემდნენ და მეორენი ითმენდნენ და მცემელნივე ჰყვიროდნენ: ძმობა უნდა და სიყვარულიო, და ამ ყვირილს მოძახილს ეუბნებოდეს ჩვენი ბ-ნი გ. წერეთელი თავისის სირინოზის ხმითა.

დასასრულ, ერთი რამ გვინდა ვკი-

---

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

**ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ**

ობოლ-საწყლების მჩაგვრელნი,
ცაო, შეკრიბე დრტვინვითა,
თავზე ქვის სეტყვა აწვიმე
საზარო ჰექა-გრგვინვითა,
ისე ჩარეგვე ულვთონი,
ავსენი ქვეყნის ცოდვითა,—
შესრკდეს ზღვა და ხმელეთი
მათის ვაება-ბოდვითა!.

დ. მაჩხანელი

**ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ**

(სააღდგომო ნატვრა)

ვერც ერთი დღესასწაული ვერ შეედრება წმიდა აღდგომის დღეს. ტყუილად-კი არ უწოდებს მას ეკკლესია „დღესასწაულთა დღესასწაულს“. „ესე არსო დღე უფლისა, დასწერს და წინასწარმეტყველებს, მეფეთა და წინასწარმეტყველთა თხემგვირგვინი დავით, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინაო“. რათა და რისთვის? ამისთვის რომ დღეს ქრისტემ აღმოიყვანა ადამ შვილითა და შვილის შვილითა ჯოჯოხეთიდგან; გამოსტაცა, თავის უკვდავის სისხლის დათხევით და ჭეშმარიტის მკვდრეთით აღდგომით, სული ჩვენი საძაგელს მღრეჭნელს ეშმაკს და ბნელს ჯოჯოხეთს და ზეცად სასუფეველსა შინა აღიყვანა; დასცა და ქვე დააკვეთა მაცთუნებელი, შემპყრობელი და წარწყმენდელი ჩვენი ეშმაკი; შეკრა და შესჭრა სიკვდილის ძარღვი, შებორკილა მძიმე ჯაჭვითა ღვთის რისხვისა ცეცხლისათა და მოაუძლურა ყოველი ძალი და ღონემისი.

მაგრამ, თუ რომ გნებავთ, ამასაცკი ვიტყვი, რომ ეს დღესასწაული არა ნაკლებ მიეწერება მთელს ბუნებას. ეს დღე, უკეთ დრო, არის მკვდრეთით აღდგომა არა მარტო კაცთა ნათესავისა, გარნა მთლად მთელის ბუნებისა მაგრად შეჯაჭვშეკრულ შებორკილებულისა ულმობელის ზამთრისაგან. საშინელია ბუნების მდგომარეობა ზამთარში. გახრიაკებულ გალატაკებულნი ველი, მინდორი შავად გამოსცქერიან, მწარე ფიქრებით შეპყრობილნი. ზამთრისაგან გაცრცვნილი ხეები დგანან გატიტვლებულნი, მაღლად მიუჩერებიათ ცისათვის თავები, თითქო ემუდარებოდნენ ღმერთს დახსნას ზამთრის ვერაგობისაგან. თოვლით დაფენილი მაღალი მთები მედგრად ემუქრიან ყველა სულდგმულს, ექადიან გათელას ახლად აღმოცენებულს ნორჩს კოკორს და ნაზ მცენარეულებათ. ყველასთვის დაუსვამს ზამთარს თავისი გამავერანებელი სიგლახაკის დაღი; ყველა შეკრულ-შეჯაჭვულია, სდუმს. ერთის სიტყვით, ბუნებას სიცოცხლის ძარღვი შესწყვეტია და შეჩერებულა.

მაგრამ აჰა, აღდგა ჯვარცმული ქრისტე და აღავსო თვისის მადლით მთელი ქვეყანა. პირველად მას მიეგება ბუნება: ველი და მინდორი, ტყენი და მაღნარნი, მთანი და ბორცვნი; ხევნი და მდაბლობნი, ზღვანი და მდინარენი, ცხოველნი და ფრინველნი. ყველამ იგრძნო, რომ ზენარით მოვალს ცხოველ-მყოფელი ძალა. მომადლებული ნათლისა და სიცოცხლისა და ერთხმად შეჰბღავლა და შეჰღაღადა „უფალო, შენ ხარ! უფალო ისწრაფე და გვიხსენ!“.

უფალმან აკურთხა ბუნება: დედამიწა, და წყალი, ცხოველნი და ფრინველნი. „მშვიდობა და მადლი თქვენდამი“, ბრძანა მკვდრეთით აღდგენილმან. მე მოგიტანე თქვენ გაზაფხული, სითბო და ნათელი. მე შევმოსო ველი და მინდორი მწვანითა, აღვავსო ტყენი საამური სუნითა და გალობა-ჭიკჭიკითა; განვაძღო სასმელ-საჭმელითა მხეცნი ტყისანი, ცხოველნი ველისანი და ფრინველნი ცისანი. აღვავსო ერთობ ბუნება შვებითა და განცხრომითა. დეე, კანონნი ბუნებისანი იყვნენ ადვილ და მსუბუქ მათთვის, დეე, ყოველმა მდელომ, ყოველმა მწერმა და ცხოველმა მიიღონ სავსებით, რაჲცა დანიშნული აქვთ მათ ბუნებით. ვინაიდგან იგინი არა განისაჯონ, რამეთუ აღასრულებენ მას, რაიცა დანიშნული აქვს დასაბამიდგან საუკუნეთა. „მშვიდობა თქვენდამი ველნო და ტყენო, ცხოველნო და ფრინველნო! გაგათბოთ და განგაცხოველოთ თქვენ სხივმა ჩემის აღდგომისამან!“.

პირველად ეს ამბავი, რასაკვირველია, ზამთარმა შეიტყო. იგი გადმოვიდა ტახტიდგან და ცხარე ცრემლით იწყო ტირილი. იმისნი უდიდესნი ცრემლის ნაკადულნი ერთმანერთს უერთდებიან, მორბიან და თავისს უბედურებას ახლო-მახლო მდინარებს შესჩივიან. ამის გამო წყლები ძალიან დიდდებიან. ხევ-ღელეების პატარა რუები და წყლები, სადაც აქამდის ყმაწვილები უშიშრად გადი-გამოდიოდნენ, ეხლა საშინლად ადიდებულნი და გულ-მოსულნი დიდის ხმით ემუქრებიან დარჩობას ყველას, ვინც გაჰბედავს შიგ შესვლას. გამხეცებულნი ნიავ-ღვარნი ათას ჩანჩქრებს ისვრიან ჰვიდგან ქვაზედ, ჰქაფდებიან, ბურთსავით ეხლებიან ხავერდის მსგავსს ნაზის ფერადით აჭრელებულს ბალახიანს ველებს; გააქვთ რაღაც მედიდური გრიალი, რომელიც ხან გამძვინვარებულს ლომის ღრიალს მიემსგავსება და ხან ჩურჩულად გარდაქცეულს ნაზს ხმას. რა აქვს სატირალი, რადა სტირს ასე მწარედ ზამთარი? იმიტომ, რომ წაუხდა აწ ჭირნახული: ველარ ჰყავს ჩვეულებრივ დამონავებული ყოველი სულდგმული, ველარა ჰყინავს ხმელეთს და წყალს თავისებურად.

შემოკრბნენ ყოველნი სულდგ-

თხოთ ბრძენთა-ბრძენს ბ-ნს გ. წერეთელს: თუ მართლა ძმობითა და სიყვარულით აღტკინებულია, თუ ღაღადი ძმობა-სიყვარულისა მართლის გულით არის და არა ქარისაგან მობერილი აქვს, და როგორც ქარის შემოტანილს თავისს დროზე ქარსვე არ გაატანს, ეს როგორ მოხდა, რომ მეგრელები საიდამაც მოთრეულად გვიხსენია და ვიღაც „ხეჩა-გოგიებთან“ ერთად ერთს მოსახრაკავ ტაფაში მოგვიმწყდია. თუ ძმობა და სიყვარულია, მეგრელები უფრო ჩვენი სისხლ-ხორცნი ძმები არ არიან, ჩვენთან ერთად ყოფილნი ჭირსა და ლხინში, ჩვენთან ერთად წამებულნი და სისხლის მღვრელნი, ჩვენთან ერთად ძლეულნი და გამარჯვებულნი! ამათ ეუბნება: თქვენ ქართველებთან რა ხელი გაქვთ, წადით, გაგვეცალენითო, საიდამაც მოთრეულხართო, და აქ-კი ძმობას და სიყვარულს გვიქადაგებს!.. შინ რომ ცოლ-შვილი გიტიროდეს, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო, სწორედ ეს არის. შინ ძმებსა გვყრის ერთმანეთისაგან. ძმას ძმად არა ჰხადის, ერთს სისხლ-ხორცს ძმას იძულებს და გვაძულებს, აქ-კი ძმობასა და სიყვარულს ჰქადაგებს! მოდით და დაიჯერეთ გულწრფელობა ამისთანა მქადაგებელისა! ვისთვისაც ჰფენს ამისთანა ტყუილს ვარდებს, ისინი არც ისეთი სულელები არიან, რომ ბ ნ გ. წერეთლის მახეში აგრე ადვილად გაებნენ.

## ნეკროლოგი.

—

**† იოსებ რომანოზის ძე მრევლიშვილი.**

12 აპრილს, აღდგომის წინა დღეს, სოფელ მცხეთაში თავი მოიკლა იოსებ რომანოზის-ძემ მრევლიშვილმა. რამ აიძულა ეს ახალგაზდა, ჯერ უცოლშვილო, ჯანითა და ღონით აღსავსე ყმაწვილი კაცი, რომ ასე უდროვოდ გამოსალმებოდა წუთისოფელს და თვითვე მოესპო თავისი სიცოცხლე,—ჯერ გამორკვეული არ არის.

იოსებ მრევლიშვილი იყო შვილი ცხეთის სვეტისცხოვლის საკრებულო ტაძრის დეკანოზის რომანოზისა, სწავლა მიიღო ტფილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში, ცოტახანს იყო მასწავლებლად, მერე სამსახურს თავი დაანება და ტფილისში კერძო პანსიონი და მოსამზადებელი სასწავლებელი გაჰმართა. მამის გარდაცვალების შემდეგ იოსებ მრევლიშვილმა ამასაც თავი დაანება, სოფ. მცხეთაში დაბინავდა და მეურნეობას მიჰყო ხელი.

განსვენებული იოსები ჩვენს ლიტერატურაშიაც იღებდა მონაწილეობას. ჟურნალს „ნობათს“ ამშვენებდნენ მისი საბავშვო მოთხრობები „კაკანათი“ და სხვანი. მუშაობდა აგრეთვე სხვა ჟურნალებშიაც. დიდს მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ტფილისში დაარსებულ თევზის მოშენების საზოგადოებაში, რომელშიაც ვრცელი მოხსენებაც წაიკითხა არაგვისა და მტკვრის სხვა-და-სხვა თევზების შესახებ. არა ნაკლებად მხურვალე მონაწილეობას იღებდა იგი კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში, რომლის წევრადაც ითვლებოდა იგი და რომლის ერთს შარშანდელს კრებაზედაც, როგორც გვახსოვს, ფრიად საყურადღებო წერილი წაიკითხა სასოფლო სამეურნეო იარაღის საწყობის გამართვის შესახებ თვით საზოგადოების მიერ. არც ერთი ქართული საქმე არ იყო, რომელშიაც განსვენებულს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო, ისე შესტკიოდა გული ყოველის საზოგადო საქმისათვის. საბრალოს რომ ეცოცხლა, რასაკვირველია, კიდევ ერთი გულ-მოდგინე მუშაკი ეყოლებოდა ჩვენს ქვეყანას, სადაცა „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ“.

# ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისში 11 აპრილს გარდაიცვალა და 15 დაასაფლავეს ოზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე ნ. ა. როჟდესტვენსკი. როგორც გვსმენია, თვისის ხანგრძლივის სამსახურის განმავლობაში, განსვენებულმა როჟდესტვენსკიმ პატიოსანის კაცისა და ნამდვილ მსაჯულის სახელი მოიხვეჭა, თავის მოვალეობის კეთილ-სინიდისიერად შესრულებისათვის. სხვა ღირსებასთან ერთად, განსვენებულს ქართული ენის ცოდნაც დიდად ხელს უწყობდა.

ოზურგეთის ქალაქის გამგეობის მინდობილობით, ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორმა განსვენებულის კუბოს გვირგვინი დაადო.

⁂ ჩვენი ქალაქის სამკურნალოსა და მისს განყოფილებებში წესად შემოიღეს, საღამოს 4 საათიდგან დილის 7 საათამდე ფერშლები მორიგედ იყვნენ. მორიგე ფერშალმა წიგნში უნდა ჩასწეროს, ვინც სამკურნალოს შემწეობისათვის მიჰმართავს და ავადმყოფთა ბინა დაუყოვნებლივ ქალაქის ექიმთ გააგებინოს. თუ ავადმყოფი გადამდების სენით იქმნება შეპყრობილი, ფერშალმა ექიმ-დეზინფექტორსა და სადეზინფექციო სადგურსაც უნდა აცნობოს.

⁂ როგორც ვუწყით, პატივცემულს აკაკის მოუვიდა ყოველ თვიურის „კრებულის“ გამოცემა. პირველი ნომერი ამ „კრებულისა“ გამოვა სექტემბრის თვეში. ამ კრებულში, აკაკის ნაწარმოების გარდა, დაიბეჭდება აგრეთვე ხალხური ლექსები, ცრუ მორწმუნეობანი, ანდაზები, გამოცანები, ლეგენდები, ზღაპრები და სხვანი.

⁂ საქალებო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები 21 მაისს დაიწყება. ადგილის უქონლობისა გამო, მე-2, მე-3 და მ-4 კლასში არავის მიიღებენ; მე-6 კლასში მხოლოდ 2 ადგილია.

⁂ ამ ჟამად მიხეილის ქუჩაზე მადერის ბაღში, სადაც წინად სამუსიკო კრუჟოკი იყო, ბ-ნი სური ცირკს აშენებს და მასში წარმოდგენებს დაიწყებენ. ეს ბაღი ბ-ნს სურს ექვსის წლის ვადით აუღია.

⁂ მდ. მტკვარმა წვიმების გამო ამ უკანასკნელს ორ დღეს ძლიერ იმატა.

⁂ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია აპრილის 20-ს ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში.

⁂ კავკასიის რკინის გზაზე უკვე დაუწყიათ ტფილისსა და ბორჯომს შუა სააგარაკოს იაფ-ფასიან ტარიფით ბილეთების გაყიდვა. ტფილისიდგან ბორჯომამდე მესამე კლასის ბილეთი სულ 1 მან. 10 კაპ. ჰღირს.

⁂ ჩვენ შემოგვჩივიან, რომ ქალაქის გამგეობას აქამდის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია თელავის ქუჩისათვის ავლაბარშიო. ეს ქუჩა ისეთს ცუდს მდგომარეობაშია, რომ ძვირად, თუ სადმე კიდევ იყვეს ქალაქში ასეთი აოხრებული ქუჩაო; ისეთი ოღრო-ჩოღროებია ქუჩაზედ, რომ გავლა ძლივს შეიძლება და ამასთანავე ქუჩა მუდამ გაუნათებელია; მართალია, ერთი ფანარი-კია მთელს ქუჩაზედ, მაგრამ ამასაც არავინ ანთებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქუჩაზედ ნაგავი და ყოველგვარი უსუფთაობაა შექუჩებული, რომლის გადატანას არავინა ჰფიქრობს და რომელიც საშინლად სწამლავს ჰაერს.

⁂ დაიბეჭდა და გამოვიდა მეცხრე გამოცემა ,,ბუნების კარი‘‘, შედგენილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნი ჩვეულებრივ ლამაზად არის გადმობეჭდილი მეხუთე გამოცემიდგან, დართული აქვს ამიერ-კავკასიის ქარტა და ყდით ჰღირს 90 კაპ.

⁂ ჩვენ მივიღეთ პაწია წიგნაკი, ბ. კილაძისა და ა. რუხაძის მიერ გამოცემული: „ვეფხის-ტყაოსნის შესანიშნავი ადგილები“. ამ წიგნაკში მოთავსებულია აგრეთვე აკაკის ლექსი „შოთა რუსთაველის სურათზედ“, მ. გურიელის—,,ადამიანი‘‘, მისივე ,,ფიცი‘‘ და ,,ალავერდი‘‘ და ა. ყაზიბეგის ,,გუთნის დედა‘‘. ეს პაწია წიგნაკი შეიცავს სულ 40 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

⁂ გაზ. „კავკაზ“-ის რედაქტორი ვასილ ლევის ძე ველიჩკო უკვე შესდგომია ქართულის ენის შესწავლას ქართულის ენის მასწავლებლად მიუწვევია ერთი ჩვენი ცნობილი პედაგოგი და დიდი ნიჭიც გამოუჩენია ენის შესწავლაში. ველიჩკო უკვე ცოტ-ცოტად ჰკითხულობს და სწერს კიდეც ქართულს. როდესაც ქართულს შეისწავლის, სომხურ ენის შესწავლასაც შეუდგება თურმე.

⁂ გაზ. ,,ნოვ. ობოზ‘‘-ს ბათუმიდგან შემდეგ ამბავსა სწერენ: ,,ამ დღეებში აქ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. კერძო ვექილმა იულონ შერაშენიძემ ბათუმის ნაფიცი ვექილი გ. ა. სელიტრენიკოვი მოქმედებით შეურცახ-ჰყო. შერაშენიძე შექეიფიანებული იყო და დანარჩენ თავის ამფსონებთან ერთად სასტუმრო ,,ფრანციისაკენ‘‘ მიდიოდა. იმათ სელიტრენიკოვი შეხვდათ გზაში, რომელსაც შერაშენიძემ მხარი გაჰკრა, როგორც ამბობენ, უცაბედად; ა. მ. სელიტრენიკოვმა ლანძღვა დაიწყო; მაშინ შერაშენიძე გაafთრებული მიჰვარდა და ცემა დაუწყო. სელიტრენიკოვის უკან მიმავალმა, მომრიგებელმა მოსამართლემ ბ-ნ პრიმომ მუშტი-კრივი რომ დაინახა, გაშმაგებული შერაშენიძე შეაჩერეთო, ბრძანა, მაგრამ იმასაც მაშინვე მუშტი მოხვდა, როგორც ამბობენ, უცაბედად და ძირს დაეცა. ი. შერაშენიძე შეპყრობილია. იგი სისხლის სამართალში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-285 მუხ. ძალით‘‘.

ქ. თელავი: 13 აპრილს, ქრისტე აღდგომის ღამის 2 საათზედ აქაურ მცხოვრებელს ილიკო არჯევანიძეს სახლი გაუტეხეს. უდროვნიათ ავაზაკთ, რომ წირვაზედ წავიდნენო, გაუღიათ კარები, შესულან, ამ დღისთვის ახლად მომზადებული სტოლი ბატკნით, გოჭით, ინდაურით, პასკებით და სხვა საჭმელებით აუწევნიათ სუფრიანად, ამასთან 122 მანეთი ნაღდი ფული და სხვა ნივთები წაუღიათ და წასულან.

საბრალო არჯევანიძე დასტოვეს აღდგომისათვის უფულოდ და უსადილოდ.

13 აპრილს, ტფილისის მე-7 გან-

---

მულნი და მოულოცეს გაზაფხულს გამარჯვება, რომელმაც, ნაცვლად ზამთრისა, დაიწყო უფლება მთელს ქვეყნიერებაზედ. ამ გულკეთილმა ხელმწიფემ უხვად დააჯილდოვა მთელი ბუნება: ააყვავა და ათასფერად შეამკო არე-მარე; გაფურჩქნა, აახიბინა დედამიწა მრავალგვარის სუნნელოვანის ყვავილით. ხეები შეიმოსნენ საუკეთესო ტანისამოსითა და აჭრელდნენ ფერად-ფერად ყვავილებით. გაზაფხულის სითბომ გამოაღვიძა მთელი ბუნება. ავსილა მისი გულმკერდი ყვავილებით, თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს ერთგული დედა, დედამიწა, უსაზღვრო სიყვარულით აღვსილის გულით ეალერსება თავისს შვილებს, აფარებს ყველას თავისს კალთას და როგორც დედა შვილებს პირჯვარს სწერს და სთხოვს ზეცას მათთვის დიდის ხნის სიცოცხლეს.

საამურია მწვანით, ყვავილებით მორთული მთა-ბარი: გაზაფხულის სუნი, ახლად ამოსული ბალახი, ახლად დამდნარის თოვლ-ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად უვნებლად ამოუყვია თავი და შეჰყურებს მზე-ქვეყანას, იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნაზს, მიბნედილს სახეზედ გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია. „გავცოცხლდი მადლითა მკვდრეთით აღდგომილისათაო“, თითქოს დუდუნებდეს. არა ნაკლებ საამურია გაყინული ხეები, გაზაფხულის სითბოთი რომ გაიფოთლებიან და აყვავდებიან. მიბინდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ კიდევ არა შეედრება-რა! გაზაფხულს თან მოჰყვნენ მრავალნი ფრინველნი, რომელთაც მოჰფინეს არე-მარეს თავიანთი სასიამოვნო ჭიკჭიკი და გალობა.

აკურთხა რა ბუნება, მკვდრეთით აღდგომილი მიუბრუნდა შემდეგ კაცთა. პირველად მას მოეგებნენ დევნულნი სიმართლისათვის, ჩაგრულნი, დავრდომილნი, მტირალნი და ტანჯულნი. სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული, ტანჯვა, ოხვრა, დაგვა და ვაება, აი მოსახვეჭელი, რომელიც მოიხვეჭეს მათ სახელისა მისისათვის ცხოვრებაში და რომლითაც წარდგნენ ესენი თვისის ჯვარცმულის მაცხოვრის წინაშე. ეს მრავალ-ტანჯული ერი დაემხო მაცხოვრის ფერხთა ქვეშე და ამოსკვნილის გულით ევედრებოდა მას დახსნას. „მშვიდობა თქვენდამი“, უბრძანა მათაც მაცხოვარმა. დიდის მწუხარებით აღივსო გული მკვდრეთით აღდგომილისა, რა ნახა რჩეულნი თვისნი ამ მდგომარეობაში. ვინ არიან იგინი? —ისინი, ვინც პირველად მიაპყრეს ყური თვისი სიტყვასა უფლისასა და დაინერგეს იგი გულსა შინა თვისსა, დაითმინეს სახელისა მისისათვის ყოველგვარი ტანჯვა, ვაება, იტვირთეს მძიმე ტვირთი ცხოვრებისა. ისევ გოლგოთით, იხილა რა ჯვარცმულმა ესენი გაბმულნი ქსელსა შინა მონობისასა, აღუთქვა დახსნა. და აჰა მოაწივა ამ სანატრელმა დრომ: აღსდგა ჯვარცმული ქრისტე! აღსდგა ღმერთი, რომელსაც ყოველი გამწარებული და ნაღვლიანი შეჰღაღადებს: უფალო, შენ ხარ? „მე ვარ, ბრძანა მაცხოვარმა: მე დავლეწე უღელი მონობისა, შევსჭერ ძარღვი სიკვდილისა და აჰა მოვისწრაფი თქვენდამი, ჰი, ერთგულნო მონანო, თანალმობელნო ჩემნო ძვირფასნო! მე მუდამ და ყოველგან ვიმყოფები თქვენთან და სადაც დაინთხევა სისხლი თქვენი, მუნვე დაინთხევა, ერთად თქვენს სისხლთან, სისხლიცა ჩემი. თქვენ წმიდის გულით მირწმუნეთ და შემიყვარეთ მე, მიაპყარით ყური თქვენი სწავლასა ჩემსა, ეძიე სიმართლესა და ჭეშმარიტებასა, ურომლისოდ მთელი ქვეყანა წარმოადგენს ნავთსაყუდელსა წარსაწყმენდელისასა და ჯურღმულსა ჯოჯოხეთისასა. „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, აი ის მცნება, რომელიც გიწამებიათ თქვენ და რომლის შესრულებას ისწრაფის გული თქვენი. ამ სიმართლით ასდგებით ძილისაგან და მოხვალთ განმზადებულნი ძილად. ამასავე მოიტანთ საკურთხეველსა ჩემსა ზედა და მე მთნიეს იგი უფროსად ზვარაკისა და უტკბესად საკმეველისა შესაწირავისა. ამიერიდგან საცნობელ იყოს თქვენდამი, რამეთუ მოვალს ჟამი და იგი უკვე მოახლებულ არს, ოდეს ნათელი გამობრწყინდეს და ბნელმა იგი არა შეიპყრას. აგშორდეთ თქვენ უღელი მონობისა და იწროებისა, რომელმან შეგაჭირვან თქვენ. ამინ, ამინ გეტყვით თქვენ და ვითარცა ოდეს გოლგოთით,—აწ-ცა გაკურთხებთ და დაგლოცავთ მადლითა ჩემის აღდგომისათა სალვაწად სასუფეველსა მას სიმართლისა, კეთილისა და ნათლისასა. ნუ სადა მიიქცეს ყური თქვენი სიტყვისა მის ბოროტისადმი და შეიპყრას გული თქვენი სასოწარკვეტილებამა და ურწმუნოებამა, „რამეთუ არა სრულიად დაივიწყოს გლახაკი უფალმან და თმენაჲ დავრდომილთა არა წარჰსწყმდეს მარად“ *). „უფალი ტაძარსა წმიდასა შინა მისსა, უფალი, ზეცას არს საყდარი მისი, თვალნი მისნი დავრდომილსა ჰხედვენ და წამნი მისნი განიკითხვენ ძეთა კაცთასა, უფალმან განიკითხოს მართალი და ულმრთო; ჰსწვიმოს ცოდვილთა ზედა მახეჲ, ცეცხლი და წუნწუბაჲ“ **) მოგეცინ შენ გულისამებრ შენისა, მხნე იყავ და განძლიერდინ გული შენი, იყავნ წმინდა და უბიწო დღეს და უკუნისამდე. „მშვიდობა თქვენდამი“!

(დასასრული იქნება)

*) ფსალმუნი დავითისი 9, 18.
**) იქვე 10, 4—6.

ყოფილებში მცხოვრებმა ეკატერინე დავიდოვისამ თავის მოკვლა განიზრახა და რაღაც საწამლავი დალია. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ექიმებმა მაშინვე საშუალება აღმოუჩინეს და სიკვდილს გადაარჩინეს. როგორც თითონვე სთქვა, დავიდოვისას უკიდურეს სიღარიბისა გამო განუზრახავს თავის მოკვლა: უკანასკნელ ხანებში მისი ქმარი სრულებით დაბრმავებულა და მუშაობა აღარ შესძლებია. თითონაც მუშაობის ღონისძიება არა ჰქონია, რადგან ორი მცირე წლოვანი შვილის პატრონი ყოფილა, რომელთაც მუდამ ყურის გდება სჭირდებათ. აღდგომის წინ სამის დღის განმავლობაში თითქმის არაფერი არ უჭამიათ თურმე და სააღდგომოთაც არაფერი ჰქონიათ.

*** 13 აპრილს იოანნე ღვთისმეტყველის ტაძრის მსახურად ნამყოფი ივანე კისლიაკოვი საკუჭნაოს ფარდულს ქვეშ ჩამოხრჩობილი იპოვნეს. თავის ჩამოხრჩობის მიზეზი უკიდურესი სიღარიბე ყოფილა, რომელშიაც სამსახურიდგან დათხოვნის შემდეგ ჩავარდნილა კისლიაკოვი.

---

# დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ქედა.** (ქვედა აჭარა). წრევანდელი გაზაფხული სასიამოვნოდ მიმდინარეობს, სხნილები აჭყვავდა და, როგორც ეტყობა, კარგი მოსავალი ^და მოვიდეს, თუ შემდეგში არ გვიფუქნა ბუნებამ. ავადმყოფობა ჩვენში ^აკლებაა, მხოლოდ შავის ჭირის გვეშინიან, თუმც-და ადგილობრივი უფროსი და ბ-ნი სოფლის ექიმი თავ-გამოდებით შეუდგნენ სოფლის გასუფთავებას, ფერშლებით დადიან სოფლებში უხსნიან ხალხს, რა სარგებლობა მოაქვს სისუფთავეს.

აგერ ოცი წელიწადი სრულდება, რაც რუსეთმა აიღო ეს მხარე და დღემდის ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი რა არის და იმასაც ვერ ვეღირსეთ, არ ვიცით, რა არის ამის მიზეზი. სხვა სოფლებში არა თუ პირველ დაწყებითი, ორ-კლასიანი სასწავლებელიც-კი დააარსეს და აარსებენ. მართალია აქაური მცხოვრებლები დახმარებას ვერ აღმოუჩენენ სკოლას, მაგრამ ჯერ უნდა გაიგოს ხალხმა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან სკოლას და შემდეგ იკისრებს თავის ხარჯით სკოლისთვის შენობის აგებას და ან სხვა დახმარების აღმოჩენას. არის ბათუმში სამოქალაქო და ქართული სასწავლებლები, მაგრამ აქაურ მცხოვრებთათვის გამოუსადეგარია, რადგან ^ათუმი ქედაზედ ორმოცი ვერსით არის დაშორებული. აქ დაგვიარსეს სასოფლო სამკურნალო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს; ეხლა სკოლა გვაკლია და გგონებთ, იმასაც ვეღირსებით. ბ-ნ თეოფილე ერქომაიშვილის თაოსნობით აქაურმა მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს ბ-ნს სასწავლებელთა ინსპექტორს მამინაიშვილს, რომ იშუამდგომლოს და დაგვიარსონ პირველ დაწყებითი სასწავლებელი ს. ქედაში სახელმწიფო ხარჯით. იმედია ბ-ნ მამინაიშვილი უყურადღებოდ არ დასტოვებს აჭარლების თხოვნას, რითაც დიდსა და დაუვიწყარს სამსახურს გაუწევს აჭარებს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

---

# დამაკვირდი

(ვიტერმაიერი)

სადს ჭკუას ფასი დაეკარგებოდა, რომ თვითეული ჩვენგანი არ იჩემებდეს.

***

ყველა ბიწიერება მზად არის სიღარიბე სთელოს.

***

რაკი სულელი დაგვიწყებს ქებას, ისეთი სულელი აღარა გვგონია.

---

### პატარა საუბარი.

წაიკითხავდით „კავკასში“ ერთს ამბავს, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასაცილოც არის, როგორც ფეხ-მოკლე ოსტატობა, და სამწუხაროც, როგორც მაგალითი დღევანდელის დღის გულის ცემისა. ერთს მანდილოსანს უყიდნია ბაყლისაგან სატაცური, ბაყალს, ნასყიდ სატაცურის მაგიერ, სხვა მდარე სატაცური ჩაუპარებია ქალოლდის პარკში. ქალს ეს დაუნახავს დ საყვედური უთქვამს. ბაყალს რაღაც აურზაური დაუწყია და უმართებულად მოჰყოლია როტვას. ქალსა სწყენია და სახელი და გვარი უკითხავს. ბაყალს სახელისა და გვარის მაგიერ უთქვამს, ეს დუქანი თ. მუხრანსკისა არისო. ბაყალი და თ. მუხრანსკი, რა თქმა უნდა, ვერაფრად დასაჯერია და ქალი რაკი ვერაფერს გამხდარა, იქავ გვერდით დუქანში შესულა და უკითხავს სახელი და გვარი ბაყლისა. აბა ძმა ძმის ძვალს რად გასტეხდა, და იმასაც აუღია და უთქვამს რაღაც გძელი გვარი, რომლის ბოლოც „ძე“ ყოფილა. ბოლოს ქალს უხმია პოლიციელი და მხოლოდ იმის შემწეობით შეუტყვია, რომ სატაცურის გამყიდავი ბაყალი „ხითაროვი“ ყოფილა და არა ვილაცა „ძე“.

'რომ მედუქნეს სდომებია მუშტრის მოტყუება—ეს ახალი ამბავი არ არის არავისათვის. მაშ რის მედუქნეა, თუ არ მოატყუებს! იქნება ვაჭრობა და მოტყუება და-ძმანი არიან, ეხლანდელს „კულტურას“ თუ დავეკითხებით. თუ „ჰუმანობა“ და სხვა ამის თანა ლათაიები სულელობაა, როგორც აქაურნი კულტურის მოძღვარნი გვიქადაგებენ, ნამუსი რაღა წითელი კოჯი ბძანდება, რომ ზემო თაროზე დავაბძანოთ.

არც ის არის საკვირველი, რომ ძმამ ძმის ძვალი არ გატეხა. ესეც ახალ მოდურ კულტურის უნარია, რომელიც ჰღაღადებს, ძმა-ძმისთვისა და ავ-კაცობის დღისთვისაო. ყველაფერი ეს სესხი და ვალია, დღეს ამას უჭირს, ხვალ იმას გაუჭირდება და ხელი ხელს დაჰბანს და ორნივე კარგად იქნებიან. ამისთანა „კულტურა“ თავისებური ქვითკირია, ერთს მეორეზე მაგრად გადააბამს ხოლმე.

არც კი ის არის ახალი ამბავი, რომ ჰკვიანმა „ხითაროვმა“ სახელგასატეხი საქმე ჩაიდინა და ქართველის სახელი-კი დაირქვა, ან მოძმეს დაარქვა, როცა ავ-კაცობაზე დაიჭირეს. მართალია, ფეხ-მოკლე ჰკვიანობა კი მოუვიდათ, რადგანაც თაღლითობა იქავ გამომჟღავნდა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია და ხომ შეეცადნენ. საქმე ცდა არის, რომელიც, სწორედ უნდა მოგახსენოთ, მხნეობის ნიშანია. არა ჰგვანებია უხეირო ქართველს, რომელიც მოჰყოლია და იძახის: ვინც ორ კურდღელს გამოუდგება, ერთსაც ვერ დაიჭერსო.

მერე აქ სატაცურის ამბავში ორი კურდღელი სად იყოვო, იკითხავთ. სატაცურის ამბავში მარტო სატაცურია, ხოლო სახელისა და გვარის თაღლითობაში სწორედ ორი კურდღელია. ერთი ისა, რომ ამისთანა თაღლითობით თვითონ თავს დაიძვრენს პასუხის გებისაგან და მეორე ისა, რომ საყვარელს ძმა-ქართველს სახელს გაუტეხს. პირველი საკუთარის თავის ანგარიშია და მეორე პოლიტიკის საქმეა. დიაღ, პოლიტიკისა და, თუ გნებავთ, პოლიტიკა აი სწორედ ეს არის. მოდით და ამას იქით სთქვით, რომ პროპაგანდა „კულტურისა“ ჩვენში არა ჰდუღს და არ გადმოდისო! ბაყლებამდინაც კი ჩაუწვეთნია და მეტი რაღა გნებავთ!..

***

ამ სატაცურის ამბავმა ერთი ძველი ამბავიც გაგვახსენა სხვათა მრავალთა შორის. უკანასკნელ რუსთ-ოსმალთა ომების დროს აქ, ჩვენში, ერთი კორესპონდენტი საფრანგეთის გაზეთის „Temps“ მოვიდა. იგი ბევრს რასმეს მოგვითხრობს თავისს კორრესპონდენციებში და, რა თქმა უნდა, სომხებს აქებ-ადიდებს და ქართველებს მჩვარში ჰხვევს. მერმისი კავკასიაში სომხებისა არისო, ქართველების საქმე-კი წასულია ხელიდგან ბითაო. ქართველები ანდერძ აგებული ერია, მარტო ჩარვადრობა და მეურმეობა-ღა შერჩენიათო და სხვანი და სხვანი. ორიოდე დღე ყოფილა იგი ტფილისში და ასე ღრმად გაუცვნია აქაურობა. არც საკვირველია. იგი გულ-ახდილად სწერს ხსენებულ გაზეთში სად და როგორ დახვდნენ სომხები და სად როგორ აქეიფებდნენ. კაი დრო გაუტარებინებიათ. სხვათა შორის გვიამბობს, რომ შინდისში რაღაც დღეობა ყოფილა და იქ მიუწვევიათ სომხებს. რა თქმა უნდა, ქალი და ვაჟი დღეობაში ბევრი იქნებოდა. ხოლო ერთს რასმეს ძლიერ გაუკვირვებია კორრესპოდენტი: ვინც-კი ქალი შეხვედრია, სულ უშველებელ ცხვირიანები ყოფილან. უკითხავს, ეს რა მილეთის ქალებიაო, და უთქვამთ, სულ ქართველები არიან ეგ დიდ ცხვირიანებიო. აქედამ ცნობის-მოყვარე ფრანგს დაუსკვნია, რომ ქებული სილამაზე ქართველებისა ტყუილი ზღაპარიაო.

ბევრი კიდევ ამისთანა „კულტურული“ მაგალითებია და იქნება ოდესმე მხეზე გამოვფინოთ. ეხლა-კი ეს სატაცურისა და შინდისის ამბავიც საკმაოა გვანიშნოს, სადამდე ალვირაშვებულია კადნიერება და სითამამე არარაობისა, რომელიც, თავისი რომ არა გააჩნია-რა, ჰცდილობს ამისთანა სასაცილო და სამასხარო ოინებით ფონს გავიდეს. მეტი სიყვარული და ძმობა-ღა გინდათ: განა ჩვენი გეურქალა ბ-ნი წერეთელი ალალბედად ჰროტავს, რომ „ხითაროვი“ და ყველა ამისთანა კეთილის მდომი ქართველებისა უნდა ვიძმოთო! მართლადა, უკეთესს ძმას იშოვით-ღა სადმე! ღმერთმანი სახელს არ შეგინახვაენ შეუმწიკვლელად და პატივს! ღმერთმანი, არ დაგზოგავთ, არ გაგიფთხილდებათ! თქვენს ქვეყანაში ჩარვადრობა და მეურმეობა თქვენთვის დაუთმიათ, თქვენთვის ურგებიათ უცილობლად სართ დაუდებლად და მეტი სულ-გრძელობა-ღა გინდათ! დიდი ცხვირები ხომ მათი კეთილ-შემინებულია და საძმო არ არის, ესეც-კი აუღიათ და სულ მთლად თქვენთვის უწყალობებიათ და მეტი ძმური გულ-უხვობა-ღა გინდათ! ძმობა არ არის, მაშ რა ციებ-ცხელებაა! უმადურობაც ამასა ჰქვიან, თუ თქვენც იტყვით, ბ-ნო გ. წერეთელო! ან რა ჭკუა დაგიშლით, რომ ეს არა სთქვათ: აქ ერდო მაღალია!

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

12 აპრილი

**კონსტანტინეპოლი.** არტიდგან წამოსულმა საბერძნეთის ჯარმა გაიმარჯა ლუხოსში დაბანაკებულ ოსმალეთის დივიზიაზედ. ტურნაფოს ახლო-მახლო მყოფ მაღლობებზედ განუწყვეტელი ბრძოლაა. ნეშად-ფაშამ უარი განაცხადა და ბრძანება არ გასცა იერიში მიეტანათ ბერძენთა ბანაკზედ, რადგან იგი იმ აზრისაა რომ თითო ნაბიჯობით ვიაროთ წინ, ესეც საკმარისი იქნება და ბერძნები თავს ვერ შეიმაგრებენო. ამის გამო იგი თავისს მოვალეობადა სთვლის არ მიაყენოს თავისს ჯარს ის ზარალი, რომელიც აუცილებელია, თუ იერიში მიიტანა.

**კონსტანტინეპოლი.** ხვალ მიდის ელასსონს ჰაზი-ოსმან-ფაშა, რათა ჩაიბაროს ოსმალეთის ჯარის უფროსობა.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანის საყვარელს იზზეტ-ბეის მისი წყალობა მოაკლდა. იზზეტ-ბეის 30,000 გირვანქა სტერლინგი აუღია იმ პირობით, რომ წინაალმდეგობა გაუწიოს ომის გამოცხადების გარდაწყვეტილებას.

**პარიზი.** საბერძნეთის საელჩომ მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „10 აპრილს ბერძნები გადავიდნენ ოსმალეთის საზღვარს და დამასსის დაუახლოვდნენ, ხოლო შემდეგ იძულებულ იქმნენ ნეზერომდე გაბრუნებულიყვნენ და დერელისაკენ დაეწიათ.

**ვენა** Politische Correspondenz“-ი: გრაფ მურავიოვის საყოველთაო ნოტა განსაკუთრებით იმ საგანს შეეხება, თუ როგორ იმოქმედებს კრიტის საქმეებზედ ოსმალ-ბერძენთა ომი. სხვა ყოველივე ნაუწყები ამბავი ნოტის შინაარსის შესახებ მართალი არ არის. ამ ნოტაში ასეთი აზრია გამოთქმული: უკვე ატეხილი ომი მიზეზს არას იძლევარა, რომ იმა მიზეზით შეიცვალოს დიდთა სახელმწიფოთა პოლიტიკა კრიტის შესახებ. პირ-იქით, გარდაწყვეტილია, რომ კრიტი ევროპის კონცერტის მფარველობასა ქვეშ დარჩება. ნოტა მოწონებულ იქმნა ყველა დიდ სახელმწიფოს მიერ.

**კონსტანტინეპოლი.** ბერძენთა მესამე დივიზიის უმთავრესი რაზმები არტიდგან გამოვიდა, ოსმალეთის საზღვარს გადავიდა და დაიჭირა ლუროსის მდინარეზედ ფილიპპიადების ციხე-სიმაგრე. ოსმალებს წაართვეს რამდენიმე ზარბაზანი. ხელ-ახლად იერიშის მისატანად ადგილიდგან დაძრულ იქმნა ოსმალეთის მეორე დივიზიის პირველი ბრიგადა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, საქმე რითი გათავდება.

ედემ-ფაშა უკანვე იქმნა გახმობილი. ჰაზი-ოსმან ფაშაა დანიშნული ელასონის ჯარის გენერალის იმუსად. საად-ედდინ-ფაშა დაინიშნა იანინის ჯარის სარდლად, ხიფზი-ფაშის მაგიერად.

**ლარისსა.** გრიცოვილი ბერძნებმა უკანვე დაიბრუნეს გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ. ოსმალები უკუაგდეს ბერძნებმა, წინ წასწიეს ჩერკესთა კავალერია, მაგრამ ისიც უკუ აბრუნეს ევზონებმა და არტილერიამ. მთელი დღე ბრძოლა არ შეწყვეტილა; დასასრულ, ბერძენთა ქვეითა ჯარმა და არტილერიამ მაღლობი ადგილები დაიჭირეს და ოსმალები ლიგარიისაკენ უკუ აგდეს. ხმა დადის, რომ ოსმალები მელუნის გასავალის მხრივ იწევენ უკან ელასსონისაკენ.

**სოფია.** მთავრობის წრეებში დაბეჯითებით უარ-ჰყოფენ იმ ამბავს, რომ ვითომ ბოლგარიის კონსტანტინეპოლში მყოფი აგენტი სცდილიყოს ბარათების მიღებას. ბარათების საქმე უკვე სხვა გვარად არის გადაწყვეტილი ბოლგარიის მთავრობასა და სულთანს შორისაო.

**რომი.** გამოძიება ხელმწიფის მოკვლის სურვილის გამო ჯერ არ შეწყვეტილა. ამ საქმეს სასამართლო ივნისში განიხილავს. კარდინალმა რადინი-ტედესკიმ გარდასცა მეფეს, რომის სამღვდელოება დიდად მოხარულია, რომ ბედნიერად გადარჩით განსაცდელსაო.

14 აპრილი.

**ვარშავა,** 14 აპრილი. ავსტრიის იმპერატორი დილის 7 საათზედ წაბრძანდა პეტერბურგს.

**პარიზი.** ოსმალეთის საელჩოს მიერ მიღებული ოფიციალური დეპეშა ასაბუთებს იმ ამბავს, რომ ლარისსა ოტტომანის ჯარს აუღია. დეპეშაში ნათქვამია, რომ მტერი დიდად არეულ-დარეული გაიქცა და დიდ-ძალი სამხედრო მასალა და სანოვაგე დასტოვაო.

საბერძნეთის მისსიამ შემდეგი დეპეშა მიიღო ათინიდგან: „ამ ორის დღის წინად ჩვენმა ჯარმა მატიდგან უკან დაიწია მტრის შედარებით მრავალ-რიცხვოვან ჯარის წინაშე, იძულებულ შეიქმნა ფარსალამდე გაბრუნებულიყო და თავი დაენებებინა ლარისსისათვის, რომელშიაც თავის შემაგრება შეუძლებელია, რადგან იგი ვაკე ადგილებს შუა იმყოფება“.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშასაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „13 აპრილს, შუადღისას, ლარისსა დაიჭირა ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა.“

**სოფია.** ყოველივე გავრცელებული ხმა იმის შესახებ, ვითომ ბოლგარიის ჯარი იკრიბებოდეს, საფუძველს მოკლებულია.

**კანეა.** კანდიის პოლკოვნიკმა გრემზეიდმა მოითხოვა, რომ დახმარება მომაშველეთო. შეამბოხენი ქალაქს ალყას არტყავენ. ოსმალები სცლიან იმ ადგილებს, რომელიც ციხე-სიმაგრის ახლო-მახლო ჰქონდათ დაჭერილი. შეამბოხეთა შორის იბრძვიან საბერძნეთის ჯარის-კაცნიც. კონსულებმა უარი განაცხადეს და გუბერნატორს ფული არ მისცეს, რომ ჟანდარმერიისათვის ჯამაგირი დაერიგებინა. აქ მოვიდა იტალიის

ორი ტვირთის მზიდველი გემი ერთის ქვეითა ჯარის ბატალიონითა და ერთის სამთო ბატარეიით.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშას იმტიაზის ორდენი ებოძა.

**ლონდონი.** ნამდვილმა მთავარსარდალმა საბერძნეთის ჯარისამ გენერალ-მაიორმა მაკრისმა სამსახურს თავი დაანება. იმის ადგილას დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი მავრომიხალისი.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშის ადიუტანტი სამხედრო ვეზირს ტირნავოსის დაპყრობის შესახებ შემდეგს დეპეშასა სწერს: „ნეშატ-ფაშის დივიზიამ ძლიერად შეუტია ბერძნებს, რომლებიც იძულებულ იქმნენ ლისვაკიის მაღლობები დაეტოვებინათ. როდესაც ლისვაკიაზედ ოსმალეთის დროშა იქმნა გამაგრებული, ბერძნები გაიქცნენ ტირნავოსიდგან ზოგნი ჩალხისარდში და ზოგნიც ლარისის გზისაკენ. ნეშატ-ფაშა უბრძოლველად შევიდა ტირნავოსს. რამდენისამე მოხუცის გარდა, ყველამ დასტოვა ეს ქალაქი. ქალაქის სახლებისა და დუქნების მდგომარეობა ჰმოწმობს, რომ მცხოვრებლები შიშით გაქცეულან“.

15 აპრილი

**პეტერბურგი.** 15 აპრილს მობრძანდნენ იმპერატორი ფრანც-იოსები, ერც ჰერცოგი ოტტონი, ამალა, ელჩი თავადი ლიხტენშტეინი. საუცხოვო დარია. ნიკოლოზის რკინის გზის სადგურში მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი ვლადიმირი, ალექსი და პავლე ალექსანდრეს ძენი, რომელთაც ავსტრიის მუნდირი ეცვათ. სადგურიდგან მოყოლებული სასახლემდე ჯარი იყო გამწკრივებული. საპატიო დარაჯად კექსგოლმის ჯარის-კაცნი იყვნენ. ხელმწიფე იმპერატრიცითურთ თავღია ეტლში ისხდნენ. წეს-რიგის დამცველად მისის უდიდებულესობის ამალის ჯარის-კაცნი იყვნენ. სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი ანიჩკოვის სასახლეში წაბრძანდნენ ხელმწიფა მარია თეოდორეს ასულთან, იქიდგან-კი საზამთრო სასახლეში. სასახლეში მიბრძანებისას პეტრე-პავლეს ციხიდგან 31-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ყველგან აუარებელი ხალხი იდგა.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც იუწყებიან კონსულები იანინიდგან, ალბანიის ოთხის ბატალიონის აჯანყებისა გამო, რომელნიც იანინის არე-მარეში დაბანაკდნენ და იმუქრებიან,—ქალაქის მკვიდრ ოსმალთ ის ოსმალნიც მიეკედლნენ, რომელნიც ქალაქში თავ-შესაფარს დაეძებდნენ. ქრისტიანეთა შორის შიშის ზარია. ვალის იარაღსა სთხოვენ, მაგრამ ის არ აძლევს. ბევრმა საელჩოებში შეაფარა თავი. ბარიკადებს აკეთებენ.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ხონთქარმა მსოფლიო პატრიარქს მეჯიდიეს ლენტი უბოძა.

ედჰემ-ფაშა დეპეშით იუწყება, რომ ლარისთან 6 თორმეტ სანტიმეტრიანი და 2 სამთო ზარბაზანი დავინარჩუნეთო.

**ლონდონი.** ოლდერგეტის ქუჩის სადგურთან ქალაქის რკინის გზის მატარებელი აფეთქდა; ერთი ვაგონი სულ ერთიანად დაიმსხვრა; რამდენიმე კაცია დაშავებული. ჰფიქრობენ, აფეთქების მიზეზი გაზიაო. ის ხმები, რომ ვითომ ყუმბარები იყო მიწაში ჩაწყობილიო, ყოველისავე საფუძველს მოკლებულია.

**ვენუა.** ტენორს სტანიოს გული გაუსკდა და გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** ავსტრიის იმპერატორი და მასთან ერთად ხელმწიფე ერც-ჰერცოგი ოტტონი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე რკინის გზის სადგურიდგან წაბრძანდნენ და ინახულეს იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული ანიჩკოვის სასახლეში. სასახლეში შესვლის დროს სასახლის დარაჯი, ნოვოჩერკასკის იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობის ჯარის-კაცნი, გამოვიდნენ ჰაუპტფახტაზედ და იმპერატორებს სამხედრო პატივი სცეს. სასახლეში ავსტრიის იმპერატორს მიეგება გენერალ-ადიუტანტი თავადი ბარიატინსკი. ამ დარბაზობის დროს ხელმწიფე მარია თეოდორეს ასულის სამყოფელოში დაესწრნენ დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და ამალის სეფე-ქალნი. ამ დარბაზობამ 15 წამს გასტანა.

ზამთრის სასახლეში მისვლისათანავე ავსტრიის იმპერატორი წავიდა მალახიტის სასტუმროში, რათა სალამი მიეცა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისათვის, რომელსაც გარს ეხვივნენ დიდნი მთავრინანი და ამალის სეფე ქალნი. ამის შემდეგ ავსტრიის იმპერატორს სასახლის სათადარიგო ნაწილში წარუდგნენ მინისტრები, მთავარ-გამგენი და უმაღლესის კარის პირველ-ხარისხოვანნი მოხელენი. აქვე წარუდგა კექსჰოლმის რაზმის დეპუტაცია; ამა რაზმის უფროსმა თავადმა არღუთინსკი დოლგორუკმა ავსტრიის იმპერატორს, შეფს რაზმისას, მიართვა ჟეტონი, რომელიც ქალაქ კექსჰოლმის გერბად არის გამოქანდაკებული. ამის შემდეგ შინა-სასახლის პატარა სასადილოში საგვარეულო საუზმე იყო გამართული 10 სულისათვის.

ორს საათზედ ავსტრიის იმპერატორმა, რომელსაც თან ახლდნენ გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი, ერც-ჰერცოგი ოტტონი და პოლკოვნიკი ნეპოკოიჩიცკი, ჰნახა პეტრე-პავლეს ციხის ეკკლესია. თაყვანი სცა რა იმპერატორთა ალექსანდრე მე-II, ალექსანდრე მე-III და ნიკოლოოზ I-ის ტაგრუცთ, ავსტრიის იმპერატორმა სამსავეს მართალის ყვავილ-ვარდების გვირგვინი დაადო, რის შემდეგაც ზამთრის სასახლეში წაბრძანდა.

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყებენ: „25 აპრილს, დილის 7 საათზედ, მცირეოდენ ბრძოლის შემდეგ პენეუსთან ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი ლარისსაში შევიდა. ლარისსას ციხეში ჯარმა ხელთ იგდო ექვსი დიდი ზარბაზანი და ერთი სამთო ბატარეა. რამდენიმე კაციც ტყვედა ჰყავთ დაჭერილი, რომელთა შორის აფიცრებიც არიან. ბერძნებზედ ძალმომრეობა არა უქმნიათ-რა. ბერძნებმა თავიანთ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ბევრი მათგანი დაიჭრა და მთებში გაიხიზნენ. ნათიკ-ბეიმ, რომელიც ლარისსას ციხის უფროსად არის დანიშნული, თავისს ხელში მოიგდო ბანაკი სრულის მისის ქონებით.

ათინიდგან აუწყებენ „Times“-ს: ოსმალები ვოლოდგან სულ ერთის საათის სასიარულო მანძილზედა სდგანან. საბერძნეთის ჯარმა თან დაჭრილები წაიწყვანა და ქალაქს თავი დაანება“.

16 აპრილი

**პეტერბურგი.** საღამოს 7 საათზედ ზამთრის სასახლის ნიკოლოზის დარბაზში საგანგებო სადილი იყო გამართული ავსტრიის იმპერატორის პატივსაცემლად. ხელმწიფე იმპერატორი ავსტრიის მუნდირით იყო, ავსტრიის იმპერატორი—რუსულის მუნდირით. როდესაც შამპანური მოიტანეს, იმპერატორმა ჭიქა აიღო და ავსტრიის იმპერატორს შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მე ბედნიერი ვარ თქვენის უდიდებულესობის ჩვენ შორის ყოფნით და არ შემიძლიან არ განვიცხადოთ ჩემი მადლობა ამ ჩვენის იმ გულ-წრფელ მეგობრობის ახალის საბუთისათვის, რომელიც ჩვენ გვაერთებს. ეს მეგობრობა განმტკიცებულია საერთო აზრ-შეხედულებითა და დედა-აზრებით, რომელიც მიმართულია ჩვენთა ერთა მშვიდობიანობის უზრუნველ-საყოფელად. თქვენმა უდიდებულესობამ უკვე უწყის ის გულითადნი გრძნობანი, რომელიც მაქვს თქვენდა მიმართ, და აგრეთვე ისიც, რა განსაკუთრებულს მნიშვნელობასა ვდებ ჩვენს სრულს თანაზიარობას, რათა განვახორციელოთ დიდებული საგანი, ჩვენ მიერ მისაღწევად აღნიშნული. მე ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისასა, მისის უდიდებულესობის იმპერატრიცისას და სრულიად საიმპერატორო სახლობისას“. მუსიკამ დაუკრა ავსტრიის საერო საგალობელი. ხელმწიფე იმპერატორის სიტყვების პასუხად გვირგვინოსანმა სტუმარმა წარმოსთქვა: „ღრმად ვგრძნობ რა უხვებითა და გულითადობით სავსე მასპინძლობას, რომელიც დამახვედრა თქვენმა უდიდებულესობამ. და აგრეთვე არა ერთგზივს ყურადღებასა, რომელიც მეძლეოდა იმ წუთიდგან, გადმოვცდი თუ არა საზღვარს თქვენის სახელმწიფოსას, მე განსაკუთრებულის სიამოვნებით ვუცხადებ თქვენს უდიდებულესობას ჩემს მხურვალე და გულწრფელს მადლობას. მე სასიამოვნოდ მიჩნს იგი ჩავთვალო ახალ საბუთად მჭიდრო მეგობრობისა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს და რომელიც, დაფუძნებულია რა ურთიერთს ნდობასა და გულის სისწორეზედ, ჩვენთა ერთათვის უზრუნველ-მყოფელია მშვიდობიანობისა და კეთილდღეობისა. სრულიად ერთგული ვარ რა ამა საქმის განხორციელებისა, მე ყოველთვის ბედნიერი ვარ ამა საგნისათვის იმედი მქონდეს თქვენის უდიდებულესობის ძვირფასი, თანაშეწევნისა და, დარწმუნებულ ვარ რა, რომ გაგვიმართლდება იმედი ამ საგნის განხორციელებისა, რომელიც ჩვენის საერთო მეცადინეობით იქნება უზრუნველ-ყოფილი, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისასა, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცისა და თქვენის სახლობისას“.

16 აპრილს დილის 4 საათზედ, საბერძნეთში, ბრძოლის ველზედ, წითელის ჯვარის საზოგადოების პირველი რაზმი გაემგზავრა, რომელიც შესდგება ერთის დოსტაქარის, ორის ექიმის, 20 მოწყალების დისა, ფერშლისა და სანიტარისაგან. რაზმს თან მიაქვს სადოსტაქრო იარაღები, ჭრილობათა შესახვევი მასალები, აფთიაქის კუთვნილებანი, საცვლები და სხ. 50 დაჭრილის კაცის სამყოფი.

**კონსტანტინეპოლი.** რვა ბატალიონს ებრძანა ადრიანოპოლიდგან საბერძნეთის საზღვარზედ წასვლა.

**ვენა.** „Neue frein Presse-“-ს ათინადგან დეპეშით ატყობინებენ: „ხალხი საომარ იარაღების მაღაზიების კარებს ამტვრევს და იარაღებს იტაცებს. აქ ეჭვი არა აქვთ, რომ სამინისტრო იძულებულ იქნება სამსახურსთავი დასნებოსო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა: კერზონმა განაცხადა, რომ კრიტიდგან ოსმალეთის ჯარის გაძევების შესახებ დიდ სახელმწიფოთ არა დაუდგენიათ-რაო. დიდ სახელმწიფოთ აზრად არა ჰქონიათ საბერძნეთის ნაწილი დაეჭირათ და იგი ხელ-უხლებლად გამოეცხადებინათ. კრიტის მეამბოხეთ საკმაოდ იციან სამხედრო მიჯნები. დიდ სახელმწიფოთ, წადდათ კუნძული ხელ-შეუხებელი ყოფილიყო, მაგრამ ქრისტიანენი ზედი-ზედ თავს ესხმოდნენ იმ ადგილებს, საცა საერთაშორისო ჯარი სდგას. აი, ამისთვის შეიქმნა საჭირო ღონისძიებანი, რათა ჯარიცა და მკვიდრნიც უზრუნველ-ყოფილ გაგვეხადნაო.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურის ცნობებით, ლარისასა და მის არე-მარეში მცხოვრები ბერძნები გაიქცნენ, მაგრამ იმედოვნებენ, რომ გამოცემულ პროკლამაციისა გამო უკანვე დაბრუნდებიანო. მაჰმადიანთა უბნის ნაწილი ლარისაში გადაიწვა. ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი ადგილებსა ჰზვერავს ველესტინოსისა და ფარსალოსაკენ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —,, | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 210³/₄ |
| 4¹/₂% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101³/₈ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99³/₈ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99³/₈ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97¹/₂ | — „ | —„ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 277 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | —„ | — | 245 |

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ოლგა კონსტანტინეს ასულს ქ-ნ გუბელაძისას ჩემის მოწაფეებითურთ, რომლებიც ორი წელიწადია მათგან შემოწირულის „ჯეჯილი“-ს კითხვით სიამოვნებენ.

მეჯვრიხევის სკოლის მასწავლებელი თეოფ. კანდელაკი.

---

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ევდოშვილს, რომელმაც გადმომცა ქ. ბაქოში მის მიერ შეკრებილი შვიდი თუმანი სტუდენტ ჟ—ს სასარგებლოდ, რომელიც საზღვარ-გარედ სწავლობს. ეს ფული უკვე გავუგზავნე კუთვნილებისამებრ.

მღ. ანტონ თოთიბაძე


# განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (15)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Апрѣля 1897 г. სტამბა ძ. მარძანიძისა და ამხანაგობისა, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.